2025

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის წლიური (2024 წლის) ანგარიში

სარჩევი

მოკლე შეჯამება 2

შესავალი 5

ზოგადი პროგრესი 8

დეტალური პროგრესი 122

ამოცანა 1.1 - ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მსხვერპლის დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებებზე საზოგადოების ინფორმირების გაზრდა და ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექცია. 122

ამოცანა 2.1 - მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის დახვეწა/გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით. 17

ამოცანა 2.2 - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებების გაზრდის ხელშეწყობა 20

ამოცანა 2.3 - მომსახურების მიმწოდებელთა პროფესიული უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება ტრენინგებისა და მომზადება/გადამზადების გზით. 222

ამოცანა 3.1 - რეაგირებასა და აღკვეთაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაზრდა ტრენინგებისა და სამუშაო ინსტრუმენტების გაუმჯობესების გზით 255

ამოცანა 4.1 - ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის/აღმოფხვრის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის გაღრმავება. 333

ამოცანა 4.2 - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობა. 355

გამოწვევები და რეკომენდაციები 400

მოკლე შეჯამება

წინამდებარე დოკუმენტი, წარმოადგენს „**ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022 – 2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე**“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ოქტომბრის №509 დადგენილებით დამტკიცებული გეგმის (შემდგომში სამოქმედო გეგმა) განხორციელების მონიტორინგის წლიურ ანგარიშს. სამოქმედო გეგმა სექტორული მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტია, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩოს, შესაბამისი სერვისის უზრუნველყოფისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებების გაუმჯობესებას ემსახურება.

ანგარიში მოიცავს სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების შესახებ ინფორმაციას 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ანგარიშის პროექტი განხილულ და შეთანხმებულ იქნა დარგობრივ სახელმწიფო უწყებებთან.

2024 წლის ანგარიშის საფუძველზე, ნათლად ჩანს, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების უმრავლესობა პასუხისმგებელი უწყებების მიერ, სრულად ან მეტწილად განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა, როგორც ძალადობის პრევენციის და აღკვეთის, ასევე მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის მიმართულებით.

2024 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, გათვალისწინებული იყო სამოქმედო გეგმის 36 აქტივობიდან 27 აქტივობის შესრულება.

27 აქტივობიდან:

18 აქტივობა - სრულად განხორციელდა;

7 აქტივობა - მეტწილად განხორიელდა;

1 აქტივობა - ნაწილობრივ განხორციელდა;

1 აქტივობა - არ შესრულდა/გაუქმდა.



საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ აქტივობებს შორის აღსანიშნავია, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის ვალდებულების შესრულება - საქართველოს მთავრობის 2024 წლის 22 იანვრის №14 დადგენილებით „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების“ დამტკიცება.

რეფერირების პროცედურების დოკუმენტით განისაზღვრა ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენას, დაცვას, დახმარებას, ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერას და მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციას.

დოკუმენტის მთავარი ამოცანაა რელევანტურ უწყებებს შორის, მათი კომპეტენციის ფარგლებში, სწრაფი, ეფექტიანი კომუნიკაცია და ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის უზრუნველყოფა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, პრობაციისა და პენიტენციურ სისტემებში ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- შემუშავდა ქცევის კორექციის პროგრამაზე მორგებული კითხვარები;
- ფასილიტატორებისთვის შეიქმნა პროგრამის ლოგიკური ჩარჩო;
- ქცევის კორექციის პროგრამის ახალი ფასილიტატორებისთვის ჩატარდა 5-დღიანი ინტენსიური სასწავლო პროგრამა;
- გამოწვევების გადასაჭრელად ჩატარდა სამუშაო შეხვედრები სასამართლოსა და პროკურატურის წარმომადგენლებთან.

საანგარიშო პერიოდში, პრობაციის სისტემის ფარგლებში, „ძალადობრივი ქცევის კორექციის სარეაბილიტაციო პროგრამა“ 219-მა პირობით მსჯავრდებულმა დაასრულა.

ამასთან, პენიტენციურ სისტემაში შემუშავდა „ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსის (PRIA)“ ხელმისაწვდომობის ინდიკატორის სტანდარტული ოპერატიული პროცედურა. პროცედურის

მიზანია, პენიტენციურ დაწესებულებებში ქცევის კორექციის პროგრამის ხელმისაწვდომობის შეფასების ინდიკატორის დანერგვა და პროცესების ეფექტური მართვა.

2024 წელს, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა „სოციალური მუშაკის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ ძალადობის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის, იდენტიფიცირებისა და შემთხვევის მართვის სტანდარტული ოპერაციული პროცედურები“; „სოციალური მუშაკების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ ძალადობის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის იდენტიფიცირება და შემთხვევის მართვა - გაიდლაინი“; „ბავშვთა და ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევათა მართვისას გამოსაყენებელი ფორმების, ინსტრუქციებისა და სოციალური მუშაკებისთვის ბავშვთა და ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევათა მართვის შესახებ პრაქტიკული სახელმძღვანელო“.

შესავალი

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022 – 2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ოქტომბრის №509 დადგენილებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმა ემსახურება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩოს, შესაბამისი სერვისის უზრუნველყოფისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებების გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის სფეროების, მიზნების და ამოცანების ფორმულირებისას, მხედველობაში იქნა მიღებული „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს ძირითადი პრინციპები.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმას (შემდგომში სამოქმედო გეგმა), აერთიანებს მოქმედების 4 სფეროს: პირველი სფერო მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის საკითხებს; მე-2 სფერო ეხება ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერისათვის აუცილებელ ღონისძიებებს; მე-3 სფეროში გათვალისწინებულია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის ზომები; ხოლო მე-4 სფერო ინტეგრირებული პოლიტიკის და მონაცემების შეგროვების საკითხებს ფარავს.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები არიან: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი[1], საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური, სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახური, ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტო.

აღნიშნული სახელმწიფო უწყებები პასუხისმგებელნი არიან შემდეგი ამოცანების განხორციელებაზე:

- ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მსხვერპლის დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებებზე საზოგადოების ინფორმირების გაზრდა და ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექცია;
- მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის დახვეწა/გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებების გაზრდის ხელშეწყობა;
- მომსახურების მიმწოდებელთა პროფესიული უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება ტრენინგებისა და მომზადება/გადამზადების გზით;
- რეაგირებასა და აღკვეთაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაზრდა ტრენინგებისა და სამუშაო ინსტრუმენტების გაუმჯოებესების გზით;
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის/აღმოფხვრის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის გაღრმავება;

[1] 2023 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში განხორციელებული რეორგანიზაციის საფუძველზე, შეიქმნა ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი, რომლის ფარგლებში მოქმედებს ორი სამმართველო, ადამიანის უფლებათა სამდივნო და კვლევისა და ანალიზის სამმართველო.

- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობა.

სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილების სტანდარტებთან. სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს სექტორულ პრიორიტეტებს, კონკრეტულ საქმიანობებს, რაც აუცილებელია მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, მათი შედეგების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ და პარტნიორ უწყებათა წრეს, განხორციელების ვადებს, ბიუჯეტსა და დაფინანსების წყაროს.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული გეგმის შემუშავება, განხორციელების კოორდინაცია, სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგი და პერიოდული ანგარიშგება წარმოადგენს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის[2] (შემდგომში - კომისია) ამოცანებს. კომისია, თავისი მანდატიდან გამომდინარე, გენდერული თანასწორობის მიმართულებით, საკოორდინაციო მექანიზმს წარმოადგენს და უზრუნველყოფს მულტიდისციპლინურ მუშობას. კომისია თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან და ხელს უწყობს საქართველოს მიერ რატიფიცირებული კონვენციებით დაფარული რიგი საკითხების განხორციელებას. კომისიის მუშაობის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი.

ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობას, იმპლემენტაციის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართვას, საჭიროების შემთხვევაში, გეგმაში

[2] „ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 12 ივნისის მთავრობის დადგენილება №286

ცვლილებების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას და კომისიისთვის წარდგენას, საქართველოს მთავრობის დადგენილებაში ცვლილების ასახვის მიზნით.

წინამდებარე წლიური ანგარიში შემუშავდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის კოორდინირებით, სახელმწიფო უწყებებისთვის გაგზავნილი ანგარიშის წარმოდგენისათვის საჭირო ფორმაში უწყებების მიერ ასახული 2024 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების და დარგობრივი სახელმწიფო უწყებებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის წლიური ანგარიში შესაბამისობაშია „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით განსაზღვრულ წლიური ანგარიშის შემუშავების მეთოდოლოგიასთან და ასახავს სამოქმედო გეგმის ამოცანებისა და აქტივობების განხორციელების შესახებ დეტალურ ინფორმაციას 2022 წლის 26 ოქტომბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში.

ზოგადი პროგრესი

<u>მოქმედების სფერო I: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია:</u>

მიზანი 1 გულისხმობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადოებაში არსებული ტოლერანტობის აღმოფხვრას და ძალადობის პრევენციის მექანიზმების გაუმჯობესებას. აღნიშნულის განსახორციელებლად სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ამოცანა 1.1-ს - „ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მსხვერპლის დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებებზე საზოგადოების ინფორმირების გაზრდა და ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექცია“. მითითებულ ამოცანას განსაზღვრული აქვს შედეგის ოთხი ინდიკატორი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1- პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით), ვისთვისაც ცნობილია „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თაობაზე. სამოქმედო გეგმის მიხედვით სამიზნე მაჩვენებელი 2024 წლისთვის არის განსაზღვრული და შეადგენს ქალი - მინიმუმ 80%, კაცი - მინიმუმ 80%.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.2 - პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით), ვისთვისაც ცნობილია ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების არსებობის შესახებ. სამოქმედო გეგმის მიხედვით სამიზნე მაჩვენებელი 2024 წლისათვის არის განსაზღვრული და შეადგენს ქალი - მინიმუმ 75%, კაცი - მინიმუმ 75%.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.3 - პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით), ვისთვისაც ცნობილია ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრების არსებობის შესახებ. სამოქმედო გეგმის მიხედვით სამიზნე მაჩვენებელი 2024 წლისთვის არის განსაზღვრული და შეადგენს ქალი - მინიმუმ 50%, კაცი - მინიმუმ 50%.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.4 - პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით), ვისთვისაც ცნობილია ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცხელი ხაზის (116 006) შესახებ. სამოქმედო გეგმის მიხედვით სამიზნე მაჩვენებელი 2024 წლისთვის არის განსაზღვრული და შეადგენს ქალი - მინიმუმ 85%, კაცი - მინიმუმ 85%.

საგულისხმოა, აღნიშნული ამოცანის ინდიკატორების საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების დადასტურების წყაროდ მითითებული ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, ჩატარდა 2022 წელს[3], რაც წინ უსწრებს წინამდებარე სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადის ამოწურვას. მიუხედავად ამისა, სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად მუშაობა გაგრძელდა 2022-2024 წლების მანძილზე. შესაბამისად, აქტივობების განხორციელებამ ხელი შეუწყო აღნიშნული ამოცანის შედეგის ინდიკატორებით იდენტიფიცირებულ სამიზნე მაჩვენებელთან მიახლოებას და ამოცანის შესრულების სტატუსის განსაზღვრას.

შედეგად, 2024 წელს აღნიშნული ამოცანის განხორციელების მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა და ამოცანა მეტწილად იქნა შესრულებული.

[3] ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2022, იხ: https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2023/12/kalta-mimart-dzaladobis-erovnuli-kvleva-sakartveloshi-2022

<u>მოქმედების სფერო II - ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა</u>

მიზანი 2 გულისხმობს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის (დაზარალებულებისთვის) ხარისხიან მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად სამოქმედო გეგმა აერთიანებს 2.1, 2.2 და 2.3 ამოცანებს, რომლის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი პროგრესი ფიქსირდება.

ამოცანა 2.1-ის შედეგის ინდიკატორი - ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - GREVIO) მიერ საქართველოსათვის მიცემული რეკომენდაციების (პირველი ანგარიშის შესაბამისად) განხორციელების პროცენტული წილი. სამოქმედო გეგმის მიხედვით სამიზნე მაჩვენებელი 2024 წლისათვის არის განსაზღვრული და შეადგენს სულ მცირე 60%-ს. აღნიშნული მიმართულებით პროგრესი უკვე დაფიქსირდა. საანგარიშო პერიოდში ამოცანა თითქმის სრულად განხორციელდა.

წინამდებარე სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელებამ ხელი შეუწყო ამოცანის შედეგის ინდიკატორებით იდენტიფიცირებულ სამიზნე მაჩვენებელთან მიახლოებას და ამოცანის შესრულების სტატუსის განსაზღვრას. აღნიშნული ამოცანის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების დადასტურების წყაროდ მითითებულია GREVIO-ს მიერ საქართველოსთვის მიცემული რეკომენდაციების[4] (პირველი ანგარიშის შესაბამისად) განხორციელების პროცენტული წილი. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების უმრავლესობამ უპასუხა GREVIO-ს მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, სწორედ ამიტომ ამოცანა მეტწილად განხორციელდა.

ამოცანა 2.2-ის შედეგის ინდიკატორი - ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის განკუთვნილი თავშესაფრების რაოდენობა, რომელმაც 2024 წლისათვის უნდა შეადგინოს 6. აღნიშნული ამოცანის ინდიკატური შესრულებულია და დღეს საქართველოს მასშტაბით მოქმედებს 6 თავშესაფარი.

ამოცანა 2.3-ის შედეგის ინდიკატორი - აქტივობებზე პასუხისმგებელი უწყებების პროცენტული წილი, რომელიც სთავაზობს დასაქმებულებს სწავლებას (საგანმანათლებლო ტრენინგებს) პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით, რაც გულისხმობს მომსახურების მიმწოდებელთა პროფესიული უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებას ტრენინგებისა და მომზადება/გადამზადების გზით. სამოქმედო გეგმის მიხედვით სამიზნე მაჩვენებელი 2024 წლისათვის არის განსაზღვრული და გულისხმობს მაჩვენებლის შენარჩუნებას - სახელმწიფო უწყებების 100%.

[4] ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის (GREVIO) ანგარიში, 2022, იხ: https://www.ecoi.net/en/file/local/2083893/GREVIO+Report+on+Georgia+2022.pdf

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამავე ამოცანის ინდიკატორი, საანგარიშო წელიწადში, განხორციელდა სრულად. რაც გულისხმობს, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ, პროფესიონალთათვის სწავლების და შესაძლებლობების გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების ორგანიზებას.

<u>მოქმედების სფერო III: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთა</u>

მიზანი 3 გულისხმობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიანი და სწრაფი რეაგირების უზრუნველყოფას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ამოცანა 3.1 -ს.

ამოცანა 3.1-ის შედეგის ინდიკატორია შესაბამის რეაგირებასა და აღკვეთაზე პასუხისმგებელ უწყებებში მომზადებულ/გადამზადებულ პროფესიონალთა წილი. სამოქმედო გეგმის მიხედვით სამიზნე მაჩვენებელი 2024 წლისათვის არის განსაზღვრული და შეადგენს 60%-ს.

საანგარიშო პერიოდში, მოცემული ამოცანის ინდიკატორის შესრულების მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა, რაც გამოხატულია მომზადებული/გადამზადებული პროფესიონალების პროცენტულ მაჩვენებელში. 2024 წელს ამოცანა სრულად განხორციელდა.

<u>მოქმედების სფერო IV: ინტეგრირებული პოლიტიკა და მონაცემების შეგროვება</u>

მიზანი 4 გულისხმობს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის/პრევენციის და მსხვერპლთა დაცვის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობის გაზრდას ინტეგრირებული და კოორდინირებული მიდგომების გაძლიერებით, რომელიც თავის თავში აერთიანებს ამოცანა 4.1 და ამოცანა 4.2-ს, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი პროგრესი ფიქსირდება. კერძოდ, გაღრმავდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის/აღმოფხვრის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობა და გაუმჯობესდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავება.

ამოცანა 4.1-ის შედეგის ინდიკატორია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მექანიზმის არსებობა.

აღნიშნული ამოცანის საბაზისო მონაცემით, თანამშრომლობის მექანიზმი არ არსებობდა. ყურადსაღებია, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასა და ადგილობრივი თვითმართველობის ეროვნულ ასოციაციას (ათეა) შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, აღნიშნული ამოცანის ინდიკატორი სამიზნე მაჩვენებელი იქნა მიღწეული. 2024 წელს აღნიშნული ამოცანა სრულად განხორციელდა.

ამოცანა 4.2-ის შედეგის ინდიკატორია სტატისტიკის წარმოების ერთიანი სტანდარტის შემუშავება. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავება-შეგროვების გაუმჯობესების მიზნით.

კონცეფციის შემუშავების მიზნით, მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული აქტივობის განხორციელება შეჩერდა. აღნიშნული ამოცანა განხორციელდა ნაწილობრივ.

დეტალური პროგრესი

ამოცანა 1.1 - ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მსხვერპლის დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებებზე საზოგადოების ინფორმირების გაზრდა და ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექცია.

<u>ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელია:</u> გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, აა(ი)პ - პროფესიული უნარების სააგენტო, სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახური.

<u>**პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე**</u>

ამოცანის შესრულების მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა 2024 წლის განმავლობაში. ცნობიერების ამაღლების მიზნით, პასუხისმგებელი უწყებების მიერ აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა, რამაც განაპირობა რომ აღნიშნული ამოცანა მეტწილად იქნა განხორციელებული.

ამოცანა 1.1.	ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მსხვერპლის მხარდაჭერის მომსახურებებზე საზოგადოების ინფორმირებულობა და ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექცია				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1	*პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით), ვისთვისაც ცნობილია „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თაობაზე*		**საბაზისო**	**სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	**2021**	**2023**	
		მაჩვენებელი	არ არსებობს	კი, არსებობს	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ოქმები
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.2	*პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით), ვისთვისაც*		**საბაზისო**	**სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	**2017**	**2024**	

	ცნობილია ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების არსებობის შესახებ	**მაჩვენებელი**	ქალი (%) - 67.4; კაცი (%) - 73.5 (წყარო: ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017)	ქალი - 77.4%, კაცი - 83.5 % (ზრდა 10%)	ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი გაეროს ქალთა ორგანიზაციის ვებგვერდი.
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.3	*პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით), ვისთვისაც ცნობილია ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრების არსებობის შესახებ*		**საბაზისო**	**სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	**2017**	**2024**	
		მაჩვენებელი	ქალი (%) - 61.7; კაცი (%) - 48.8 (წყარო: ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017)	ქალი -71.7%, კაცი - 58.8% (ზრდა 10%)	ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი გაეროს ქალთა ორგანიზაციის ვებგვერდი.
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.4	*პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით), ვისთვისაც ცნობილია ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცხელი*		**საბაზისო**	**სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	**2017**	**2024**	
		მაჩვენებელი	ქალი (%) - 38.0; კაცი (%) - 31.6 (წყარო: ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული	ქალი - 48%; კაცი - 41.6% (ზრდა 10%)	ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი გაეროს

	ხაზის (116 006) შესახებ		კვლევა საქართველოში 2017)		ქალთა ორგანიზაციის ვებგვერდი.
რისკი:	საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა			

აქტივობა 1.1.1 ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება.

2024 წელს აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიმართულებით.

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის გადაწყვეტილებით, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, სახელმწიფო უწყებების, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით საანგარიშო წლის განმავლობაში შემუშავდა გეგმის პირველადი ვერსია.

2024 წლის 22 და 23 მარტს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის კოორდინაციით, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სხდომა გაიმართა. ღონისძიება გაეროს ქალთა ორგანიზაციის და გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით ჩატარდა. კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთიანი სამოქმედო გეგმის პირველადი პროექტი.

შეხვედრის მიმდინარეობისას მონაწილეებმა წარმოადგინეს შენიშვნები დოკუმენტთან დაკავშირებით და მათ მიეცათ ვადა წერილობით პოზიციის გაზიარებისთვის.

აქტივობა 1.1.2. ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობასთან და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების მიმართულებით პროფესიული სტუდენტების ცნობიერების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობასთან და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების მიმართულებით, პროფესიული სტუდენტების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ავტორიზებული საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 72% (21 საჯარო კოლეჯი) ახორციელებდა სხვადასხვა სახის აქტივობებს (საინფორმაციო შეხვედრა, დისკუსია, სემინარი,ტრენინგი და სხვა).

ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტო შეურთდა ქალთა მიმართ ძალადობის 16 დღიან კამპანიას, რომლის ფარგლებში, GIZ - ის მხარდაჭერით, მომზადდა და გავრცელდა საინფორმაციო სახის ე.წ. ქარდები (პოსტერები). ისინი გაუზიარდათ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს სამიზნე ჯგუფებში გასავრცელებლად. გარდა ამისა, თსუ-ს მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მიერ ამავე თემაზე მომზადდა ვიდეორგოლი და გავრცელდა სოციალური ქსელების საშუალებით.

აქტივობა 1.1.3. მოძალადე მსჯავრდებულებისთვის მოქმედი ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამების გადახედვა, შემდგომი დახვეწა და დანერგვა

2024 წელს, პრობაციისა და პენიტენციურ სისტემებში ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- შემუშავდა ქცევის კორექციის პროგრამაზე მორგებული კითხვარები;
- ფასილიტატორებისთვის შეიქმნა პროგრამის ლოგიკური ჩარჩო;
- ქცევის კორექციის პროგრამის ახალი ფასილიტატორებისთვის ჩატარდა 5-დღიანი ინტენსიური სასწავლო პროგრამა;
- გამოწვევების გადასაჭრელად ჩატარდა სამუშაო შეხვედრები სასამართლოსა და პროკურატურის წარმომადგენლებთან.

საანგარიშო პერიოდში, პრობაციის სისტემის ფარგლებში, „ძალადობრივი ქცევის კორექციის სარეაბილიტაციო პროგრამა“ 219-მა პირობით მსჯავრდებულმა დაასრულა.

რაც შეეხება პენიტენციურ სისტემას, ქცევის კორექციის პროგრამაში ჩართული იყო, ჯამში, 137 მსჯავრდებული. მათ შორის, 2024 წელს - 28 მსჯავრდებული, რომელთაგან 6-მა დაასრულა, 7-მა შეწყვიტა, ხოლო 15 კვლავ აგრძელებს პროგრამაში მონაწილეობას.

ამასთან, პენიტენციურ სისტემაში შემუშავდა „ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსის (PRIA)“ ხელმისაწვდომობის ინდიკატორის სტანდარტული ოპერატიული პროცედურა. პროცედურის მიზანია, პენიტენციურ დაწესებულებებში ქცევის კორექციის პროგრამის ხელმისაწვდომობის შეფასების ინდიკატორის დანერგვა და პროცესების ეფექტური მართვა. პროცედურა პენიტენციურ დაწესებულებებში ეტაპობრივად დაინერგება.

აქტივობა 1.1.4. ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამ(ებ)ის მოდიფიცირება და საგანგებო სიტუაციებისას, მათ შორის, პანდემიის პირობებში, მოძალადე პირებისთვის მიწოდება

სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდის (2022-2024 წლები) დასაწყისში გაიმართა სამუშაო შეხვედრები სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პროფესიულ ზედამხედველებსა და ფსიქოლოგებს შორის. პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, დაიგეგმა ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამ(ებ)ის მოდიფიცირება, მათ შორის, შესაძლო საგანგებო სიტუაციების დროს აქტივობის შესრულება განსაზღვრული იყო გაეროს ქალთა ორგანიზაციის და სააგენტოს თანამშრომლობის ფარგლებში. ფინანსური დეფიციტის გამო, აქტივობის სრულად განხორციელება ვერ მოხერხდა.

ამოცანა 2.1 - მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის დახვეწა/გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით.

<u>ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელია:</u> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი.

<u>**პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე**</u>

2.1 ამოცანის ინდიკატორის შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და სტრუქტურული ცვლილებები, რაც გამომდინარეობდა, მათ შორის GREVIO რეკომენდაციებიდან. შესაბამისად, ამოცანა მეტწილად განხორცილედა.

ამოცანა 2.1.	მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის დახვეწა/გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1	*GREVIO-ს მიერ საქართველოსთვის მიცემული*		საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო
		წელი	2021	2024	

	რეკომენდაციების (პირველი ანგარიშის შესაბამისად) განხორციელების პროცენტული წილი	**მაჩვენებელი**	0%	მინიმუმ 60%	წინამდებარე სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიში
რისკი:	საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა				

<u>**პროგრესი - აქტივობის შესრულების დონე**</u>

აქტივობა 2.1.2. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების (ეროვნული რეფერალური მექანიზმი) პროექტის დამტკიცება.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 22 იანვრის №14 დადგენილებით, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურები“ დამტკიცდა.

რეფერირების პროცედურების დოკუმენტით განისაზღვრა ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც ხელს შეუწყობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენას, დაცვას, დახმარებას, ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერას და მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციას.

დოკუმენტის მთავარი ამოცანაა რელევანტურ უწყებებს შორის მათი კომპეტენციის ფარგლებში, სწრაფი, ეფექტიანი კომუნიკაცია და ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის უზრუნველყოფა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად.

ეროვნული რეფერირების პროცედურებში თავიანთი კომპეტენციისა და უფლება-მოვალეობების შესაბამისად მონაწილეობენ თემატური სახელმწიფო უწყებები და გაწერილია თითოეული მათგანის უფლებამოსილება.

დოკუმენტი შემუშავებული იქნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის კოორდინაციით, თემატური სახელმწიფო უწყებების, გაეროს მოსახლეობის ფონდისა (UNFPA) და სამოქალაქო სექტორის აქტიური ჩართულობით.

აქტივობა 2.1.4 შესაბამისი დოკუმენტის (წესი/ბრძანება/მითითება) შემუშავება და მიღება, რაც უკავშირდება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევის მართვისას, მსხვერპლის უფლებების ეფექტიანი დაცვის მიზნით, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ჩართულობის უზრუნველყოფას.

2024 წლის პირველი მაისიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი გაფართოებული მანდატით განაგრძობს საქმიანობას. განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური. აღნიშნული ცვლილების მიზანია კოორდინატორის სამსახურის გაძლიერება, მათი საქმიანობის კოორდინაციის ეფექტიანად უზრუნველყოფა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის დებულებით, რომელიც დამტკიცებულია შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, დეტალურად გაიწერა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ფუნქცია-მოვალეობები.

აქტივობა 2.1.5 სოციალური მუშაკებისთვის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მუშაობისთვის სპეციალური სახელმძღვანელო წესების შემუშავება და დანერგვა

სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 7 ივნისის SCA 8 24 00000087 ბრძანებით („შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე განხორციელებული ძალადობისას სოციალური მუშაკის რეაგირების სამუშაო ინსტრუმენტების დამტკიცების შესახებ“) დამტკიცებულია სამუშაო ინსტრუმენტები, რომელთა შორის არის „სოციალური მუშაკის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ ძალადობის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის, იდენტიფიცირებისა და შემთხვევის მართვის სტანდარტული ოპერაციული პროცედურები“.

სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 2 მაისის SCA 6 24 00000067 ბრძანებით, დამტკიცდა „ბავშვთა და ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევათა მართვისას გამოსაყენებელი ფორმების, ინსტრუქციებისა და სოციალური მუშაკებისთვის ბავშვთა და ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევათა მართვის შესახებ პრაქტიკული სახელმძღვანელო.“

ამოცანა 2.2 - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებების გაზრდის ხელშეწყობა

<u>ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელია:</u> სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო და სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო.

<u>პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე</u>

2.2. ამოცანის ინდიკატორი (6 თავშესაფარი) სრულად შესრულებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ამოცანა 2.2.	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებების გაზრდის ხელშეწყობა				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1.	*ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის განკუთვნილი თავშესაფრების რაოდენობა*		**საბაზისო**	**სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	**2021**	**2024**	
		მაჩვენებელი	5 სახელმწიფო თავშესაფარი	6 თავშესაფარი	სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ანგარიშები

რისკი:	საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა

<u>პროგრესი - აქტივობის შესრულების დონე</u>

აქტივობა 2.2.1. სახელმწიფო თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების მიერ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მომსახურებების მიწოდება.

სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდგომ - სააგენტო) ფარგლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ფუნქციონირებს:

- 6 თავშესაფარი
- 7 კრიზისული ცენტრი.

აქტივობა 2.2.4. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაქმების ხელშეწყობისთვის მათ უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული ღონისძიებების/პროგრამების შემუშავება

სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შორის, 2024 წელს, მომზადდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც გაფორმდა 2025 წლის 3 თებერვალს. მემორანდუმის ფარგლებში დაიგეგმება ერთობლივი ღონისძიებები.

2024 წლის 25 სექტემბერს, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს თბილისის წარმომადგენლებმა სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულში - ,,თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში“ მომსახურების მიმღებ პირებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. შეხვედრას ესწრებოდა 14 პირი. სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია სააგენტოს სერვისებისა და პროგრამების შესახებ.

აქტივობა 2.2.5. სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებებზე მორგებული მომსახურების მიწოდებისთვის ინსტრუმენტის შემუშავება.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებებზე სპეციალური ინსტრუმენტის შემუშავება დაიგეგმება სამომავლოდ - სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა ინდივიდუალური შემთხვევებისა და საჭიროებების შეფასებისთვის. პარალელურად,

ამუშავებულია სოციალური მუშაკის რეაგირების ინსტრუმენტები შშმ პირებზე განხორციელებული ძალადობის შემთხვევებისთვის, რომელიც განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ქალებისა და გოგონების მხარდაჭერაზე. დამტკიცებული დოკუმენტები მოიცავს:

- შშმ პირთა მიმართ ძალადობის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის, იდენტიფიცირებისა და შემთხვევის მართვის სტანდარტული ოპერაციული პროცედურებს და შემთხვევის მართვის გაიდლაინს.
- შშმ პირთა პირველადი და სრული შეფასების ფორმებს, ასევე ინტერვიუს ფორმას.

ინსტრუმენტების მიზანია შშმ პირებისთვის შესაბამისი მომსახურების ორგანიზება და ეფექტური რეაგირება ძალადობის ფაქტებზე.“.

ამოცანა 2.3 - მომსახურების მიმწოდებელთა პროფესიული უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება ტრენინგებისა და მომზადება/გადამზადების გზით.

<u>ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელია:</u> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური და სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.

<u>**პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე**</u>

საანგარიშო პერიოდში, 2.3. ამოცანა სრულად განხორციელდა. აქტივობებზე პასუხისმგებელი ყველა უწყება უზრუნველყოფს დასაქმებულების სწავლებას (საგანმანათლებლო ტრენინგებს) პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით.

ამოცანა 2.3.	მომსახურების მიმწოდებელთა პროფესიული უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება ტრენინგებისა და მომზადება/გადამზადების გზით				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.3.1	*აქტივობებზე პასუხისმგებელი უწყებების პროცენტული წილი, რომელიც სთავაზობს დასაქმებულებს სწავლებას (საგანმანათლებლო ტრენინგებს) პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით*		**საბაზისო**	**სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	**2021**	**2024**	
		მაჩვენებელი	სახელმწიფო უწყებების 100%	მაჩვენებლის შენარჩუნება - სახელმწიფო უწყებების 100%	წინამდებარე სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიში
რისკი:	საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა				

<u>**პროგრესი - აქტივობის შესრულების დონე**</u>

აქტივობა 2.3.1. ცხელი ხაზის (116006) ოპერატორებისთვის ტრენინგების ჩატარება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, კოორდინირებული უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და სხვადასხვა სფეროს პროფესიონალებთან ეფექტიანი მუშაობისთვის საჭირო უნარების განვითარებისთვის.

2024 წელს, ცხელი ხაზის (116006) ოპერატორებისთვის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა და თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აქტივობა 2.3.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის მიზნებისთვის თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების თანამშრომელთა პროფესიული უნარების განვითარებისთვის ტრენინგების ჩატარება.

2024 წელს, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდამჭერი თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების თანამშრომელთათვის და სხვადასხვა პროფესიული ჯგუფებისთვის, ორგანიზაციის - „World Vision საქართველო“, EMDR-ის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM), ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო), საქართველოს სხეულზე ორიენტირებული ფსიქოთერაპიის ასოციაციის (GABP) და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა თემატური ტრენინგები.

აქტივობა 2.3.3 ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში (უწყვეტი სამედიცინო განათლების სფეროში) ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე აკრედიტებული ელექტრონული სასწავლო მოდულის დანერგვა

ქალთა მიმართ ძალადობაზე/ოჯახში ძალადობაზე ჯანდაცვის სისტემის რეაგირების გასაუმჯობესებლად, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით, მომზადებულია და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ატვირთულია აკრედიტებული კურსი. საანგარიშგებო პერიოდში კურსი გაიარა 43 პირმა.

აქტივობა 2.3.4. ადვოკატებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისთვის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სასწავლო ღონისძიებების ჩატარება.

2024 წლის 1-2 აგვისტოს, თბილისში სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ (1 ტრენინგი) გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით და დიდი ბრიტანეთის მთავრობის დაფინანსებით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ,,ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი და საქართველოს კონტექსტი“. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ, თბილისსა და რეგიონებში მოქმედი საზოგადოებრივი ადვოკატები. გადამზადდა სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის 23 თანამშრომელი.

სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, 2024 წლის 9 ივლისს, ადვოკატებისთვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე: ფემიციდი და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია. მონაწილეთა რაოდენობა: 30 (ქალი: 21; კაცი: 9).

სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ 2024 წელს განაახლა ონლაინ მოდული თემაზე: ქალთა უფლებების სამართალი, რომელიც მოიცავს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებს და ხელმისაწვდომია ნებისმიერი ადვოკატისთვის. აღნიშნული ონლაინ მოდული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 944-მა ადვოკატმა (ქალი: 514 კაცი: 430) გაიარა.

ამოცანა 3.1 - რეაგირებასა და აღკვეთაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაზრდა ტრენინგებისა და სამუშაო ინსტრუმენტების გაუმჯობესების გზით.

<u>ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელია:</u> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტო და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

<u>**პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე**</u>

ამოცანა 3.1-ის ინდიკატორის შესრულების მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა, რაც გამოხატულია მომზადებული/გადამზადებული პროფესიონალების პროცენტულ მაჩვენებელში. 2024 წელს ამოცანა სრულად განხორციელდა.

ასევე, შემუშავდა და განახლდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების, სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის შედეგად ხარვეზების გამოვლენის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში სათანადო რეკომენდაციების/ინტრუქციების. ასევე, შემაკავებელი ორდერი და რისკების შეფასების ინსტრუმენტი განახლებული ფორმით ამოქმედდა.

მიზანი 3.	ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიანი და სწრაფი რეაგირების უზრუნველყოფა	**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:**	მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება; მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი

					განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.
გავლენის ინდიკატორი 3.1.	*ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის ფატების შესახებ შეტყობინებებზე/განცხადებებზე რეაგირების მაჩვენებელი*		**საბაზისო**	**სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	**2021**	**2024**	
		მაჩვენებელი	100%	100%	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშები და სტატისტიკა (ვებ. გვერდი www.polic.ge)
ამოცანა 3.1.	*რეაგირებასა და აღკვეთაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაზრდა ტრენინგებისა და სამუშაო ინსტრუმენტების გაუმჯობესების გზით*				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1.	*შესაბამის რეაგირებასა და აღკვეთაზე პასუხისმგებელ უწყებებში მომზადებულ/გადამზადებულ პროფესიონალთა წილი*		**საბაზისო**	**სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	**2021**	**2024**	
		მაჩვენებელი	*50%*	*მინიმუმ 60%*	*წინამდებარე გეგმის ანგარიშები*
რისკი:	საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა				

<u>პროგრესი - აქტივობის შესრულების დონე:</u>

აქტივობა 3.1.1. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სამართალდამცავთა პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით ტრენინგების ჩატარება.

2024 წლის განმავლობაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარებულია 23 ტრენინგი/სამუშაო შეხვედრა კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, მათ შორის ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე, სადაც გადამზადდა 1350 თანამშრომელი;

საანგარიშო პერიოდში, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის ჩართულობით 2023 წლიდან ხორციელდება გამომძიებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, 2024 წელს ჩატარდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი 12 კურსი და გადამზადდა 226 გამომძიებელი, ასევე საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი 11 კურსი თემაზე - „სქესობრივი დანაშაულების გამოძიების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები და სექსუალური შევიწროება“ და გადამზადდა 204 გამომძიებელი;

2024 წლის პერიოდში, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა ,,ქალთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობა“ საგნის სწავლება, 25 კურსის ფარგლებში გადამზადებულია 521 მსმენელი;

საანგარიშო პერიოდში, ჩატარებულია ორი ტრენინგი თემაზე „ოჯახში/ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის არსებული მექანიზმი და სექსუალური შევიწროება“ ტრენინგს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 48 თანამშრომელი დაესწრო;

2024 წლის განმავლობაში, განხორციელდა ერთი საერთაშორისო ვიზიტი, რომელიც ეხებოდა ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის და გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებს, სადაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 3 თანამშრომელი დაესწრო.

აქტივობა 3.1.2. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების, სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის შედეგად ხარვეზების გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში სათანადო რეკომენდაციების/ინსტრუქციების შემუშავება ან განახლება.

2024 წლის იანვარი-დეკემბრის პერიოდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტმა მონიტორინგი გაუწია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის მუხლებით დაწყებულ 4700-მდე სისხლის სამართლის საქმეს. 2024 წელს, მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ტენდენციებისა და დაიდენტიფიცირებული გამოწვევების, საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავდა, განახლდა და სამინისტროს საინფორმაციო პორტალზე - Main.mia.gov.ge-ზე, როგორც წერილობითი, ისე, აუდიო - ვიდეო ფორმატით გამოქვეყნდა „შემაკავებელი ორდერის ოქმის შევსებისა და ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების ინსტრუქცია“. დეპარტამენტმა უზრუნველყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის რეკომენდაციის ხელმისაწვდომობა.

აქტივობა 3.1.4. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ სსიპ - 112-ში შემოსული შეტყობინებების ანალიზი.

2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, მომზადდა 12 ყოველთვიური დოკუმენტი, ოჯახში ძალადობის/კონფლიქტის ფაქტებთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებების ანალიზის შესახებ.

აქტივობა 3.1.5. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე პროკურორთა პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით ტრენინგების ჩატარება.

2024 წელს, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, გამოძიებისა და ეფექტიანი საპროკურორო საქმიანობის საკითხებზე, პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა გადამზადების 10 სასწავლო აქტივობა განხორციელდა. შედეგად, პროკურატურის 144-მა თანამშრომელმა აიმაღლა კვალიფიკაცია (მათ შორისაა, 71 პროკურორი, აქედან 20 მენეჯერი, 50 სტაჟიორი, 1 მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორი, პროკურატურის 1 გამომძიებელი და 1 მრჩეველი).

სასწავლო აქტივობები მოიცავდა პროკურორებისა და მენეჯერებისთვის განხორციელებულ ტრენინგს გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდი) ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისამართლებრივი დევნის შესახებ; ოჯახში ძალადობის თემაზე მულტიდისციპლინარული ჯგუფის სასწავლო ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში; Help-ის სასწავლო კურსებს - ქალთა მიმართ ძალადობაისა და ოჯახში ძალადობის შესახებ; მენტორინგის პროგრამას - ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის თემაზე; სასწავლო ვიზიტებს ალბანეთსა და ბელგიაში - მენტორინგის პროგრამისა და ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის შესახებ; პროკურატურის სტაჟიორთა მოსამზადებელ კურსს, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მოდულის ფარგლებში;

აქტივობა 3.1.6. მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვის მიზნით, ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა გამოკითხვის/დაკითხვის სპეციალური სახელმძღვანელო წესების გადახედვა, განახლება

2024 წელს, მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ტენდენციებისა და დაიდენტიფიცირებული გამოწვევების, საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავდა, განახლდა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო პორტალზე - Main.mia.gov.ge-ზე, როგორც წერილობითი, ისე, აუდიო - ვიდეო ფორმატით გამოქვეყნდა „შემაკავებელი ორდერის ოქმის შევსებისა და ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების ინსტრუქცია". დეპარტამენტმა უზრუნველყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის რეკომენდაციის ხელმისაწვდომობა.

აქტივობა 3.1.7 - პროფესიული უნარების განვითარება/გაძლიერება საგანმანათლებლო ღონისძიებების გზით ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური ძალადობის საკითხებზე, მათ შორის, მსხვერპლის გამოვლენის, ძალადობაზე რეაგირების და შესაბამისი რეფერალის საკითხებზე

სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების პროფესიული უნარების გაძლიერება ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური ძალადობის საკითხებზე – მათ შორის, მსხვერპლის იდენტიფიკაცია, ძალადობაზე რეაგირება და რეფერალური მექანიზმების ეფექტიანი გამოყენება – განხორციელდა არაერთი პარტნიორი ორგანიზაციის მხარდაჭერით.

ტრენინგები ორგანიზებული იყო შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ასოციაცია „საქართველოს SOS ბავშვთა სოფლის“, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), საქართველოს საზოგადოებრივი დაცვის ფონდის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და საფრანგეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

აღნიშნულ საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 50-მდე სოციალურმა მუშაკმა და ფსიქოლოგმა.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინიციატივით და “World Vision - საქართველოს“ მხარდაჭერით, მთელი საქართველოს მასშტაბით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე

„ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, არსებული დაცვისა და დახმარების მექანიზმები“. ტრენინგში მონაწილეობდნენ აჭარის ა/რ, იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამცხე ჯავახეთის რეგიონებში ქ. თბილისში მომუშავე სოციალური აგენტები, უფროსი სოციალური აგენტები და სხვადასხვა პოზიციაზე მომუშავე თანამშრომლები. გადამზადდა სულ 285 თანამშრომელი.

ჩატარებული ტრენინგის ფარგლებში, მონაწილეები გაეცნენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: გენდერის არსი და ძირითადი ცნებები, ძალადობის ფორმები, ძალადობის პირველადი იდენტიფიცირების ნიშნები, საერთაშორისო და ეროვნული ინსტრუმენტები, სამართლებრივი დაცვის მექანიზმები. ტრენინგის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორია სახელმწიფოს პოლიტიკა ძალადობის მსხვერპლთა მიმართ, რა ტიპის სერვისები და მხარდამჭერი ღონისძიებები არსებობს ქვეყანაში ძალადობის მსხვერპლთათვის. შეხვედრაზე განხილულ იქნა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე. მონაწილეებმა იმუშავეს პრაქტიკულ სავარჯიშოებზე.

2024 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი ტრენინგები:

- გაეროს ქალთა ორგანიზაციის „გენდერული ძალადობის წინააღმდეგ სისტემის გაუმჯობესება“ საგრანტო პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები“;

- ორგანიზაცია ,,UNJP'' - ს მიერ გაიმართა ტრენინგი „ძალადობა და დისკრიმინაცია გენდერისა და სექსუალობის ნიშნით“ და ,,ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებები“;

- ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (ეუთო)-ს მიერ ორგანიზებული ტრენინგი „ტრეფიკინგის მსხვერპლთა ტრავმებზე რეაგირების მულტიდისციპლინური მიდგომები“;

- გაეროს ქალთა ორგანიზაციის საფრანგეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „სამცხე - ჯავახეთის დემოკრატ ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტრენინგი თემაზე „ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის შესახებ“;

- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს მიერ ჩატარებული ტრენინგი „ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის გამოვლენის/გამოძიების პროცესში მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომებს დანერგვა“;

- Hungarian Helsinki Committee; The Cordelia Foundation for the Rehabilitation of Torture Victims -ს მიერ ჩატარებული ტრენინგი „წამების, არაადამიანური მოპყრობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლთა ეფექტური იდენტიფიკაცია, დაცვა და რეაბილიტაცია“.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) -ს მიერ ჩატარებული ტრენინგი „Local Storytelling, Global Change: Using Narrative in the Fight for Gender Justice“.2024 წლის მარტში, 26 მანდატურმა გაიარა გენდერული ნიშნით ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ტრენერთა ტრენინგი, სადაც განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: გენდერული როლები და სტერეოტიპები, გენდერული თანასწორობა და ადამიანის უფლებები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის განვითარების ძირითადი ეტაპები და აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტები; ძალადობის ფორმები და მათი იდენტიფიცირების სირთულეები; რეაგირების მექანიზმები; და სხვ. ტრენინგები გაიმართა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „ერთად გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის დასაძლევად“, რომელსაც გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს.

ასევე, 2024 წლის ზაფხულში, იმავე საკითხებზე ტრენერთა ტრენინგი გაიარა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის (შემდგომში - მანდატურის სამსახური) ორმოცმა სოციალურმა მუშაკმა. გაეროს ქალთა ორგანიზაციის ექსპერტების მიერ, განხორციელდა (მანდატურის სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცდება 2025 წელს) მანდატურის სამსახურისთვის შემუშავებული მოდულის - გენდერული მეინსტრიმინგი განათლებაში: „ძალადობა გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობა“ განახლება და დაემატა ახალი სესია ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილ ძალადობის საკითხებზე.

განახლებული მოდულით, 2024 წლის დეკემბერში ტრენერთა ტრენინგი გაიარა მანდატურის სამსახურის 10-მა თანამშრომელმა. ევროპის საბჭოს პროექტის „ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ მხარდაჭერითა და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ორგანიზებით, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქ. თბილისში, ქ. ბათუმსა და ქ. ქუთაისში გაიმართა საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 276 მოსწავლემ და 45 სკოლის წარმომადგენელმა. 10-11 ივნისს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაცია, სამცხე-ჯავახეთის დემოკრატ ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, სოციალური მუშაკებისთვის გაიმართა ტრენინგი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ, სადაც მონაწილეობა მიიღო მანდატურის სამსახურის სამმა სოციალურმა მუშაკმა. საანგარიშო პერიოდში ორი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (იბერია და პრესტიჟი) 54 თანამშრომელმა (მასწავლებლებმა და მმართველი რგოლის წარმომადგენლებმა) გაიარა ტრენინგი სექსუალური შევიწროვების შესახებ.

2024 წელს გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის ორგანიზებით, გაიმართა ტრენინგი თემაზე „ბავშვთა დაცვის სისტემებისა და სერვისების გაძლიერება საქართველოში“, რომელსაც ესწრებოდა 36 თანამშრომელი, მათ შორის იყვნენ როგორც სოციალური მუშაკები, ისე იურისტები;

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, გაიმართა ტრენინგი თემაზე „ქალთა მონაწილეობის გაძლიერება სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში“, რომელსაც ესწრებოდა 18 სოციალური მუშაკი;

ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის“ ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი თემაზე „ძლიერი მშობლები - ძლიერი ბავშვები“, რომელსაც ესწრებოდა 18 თანამშრომელი, მათ შორის იყვნენ სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები;

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი თემაზე „ბავშვთა და ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე“, რომელსაც ესწრებოდა 28 სოციალური მუშაკი;

საქართველოს საზოგადოებრივი დაცვის ფონდის ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი თემაზე „ბავშვთა უსაფრთხოების და კეთილდღეობის საკითხები“, რომელსაც ესწრებოდა სააგენტოს 3 თანამშრომელი, კერძოდ, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი;

2024 წლის 10-11 ივლისს, ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) არასრულწლოვან მსხვერპლთა იდენტიფიცირება: ფსიქოლოგიური და სამართლებრივი ასპექტები“. ტრენინგს ესწრებოდნენ როგორც სააგენტოს რეგიონული ცენტრების წარმომადგენლები, სოციალური მუშაკები, ისე, თავშესაფრების/კრიზისული ცენტრების თანამშრომლები. ჯამში, სააგენტოს 24 თანამშრომელი.

24-27 ივნისს ჩატარდა ტრენინგი ტრეფიკინგის თემაზე და ესწრებოდნენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის სოციალური მუშაკი და 2 იურისტი, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრის იურისტი."

საანგარიშო პერიოდში, მასწავლებლისა და მმართველი რგოლის წარმომადგენლების შესაძლებლობები გაძლიერდა გენდერული სამართლიანობისა და სასწავლო პროცესის გენდერულად მგრძნობიარე მიდგომებით დაგეგმვისა და წარმართვის მიმართულებით. ამ მიმართულებით გახორციელდა არაერთი საინფორმაციო შეხვედრა/ტრენინგი/სემინარი. 2024 წლის განმავლობაში ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური ძალადობის საკითხებზე 21 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩატარდა 23 ტრენინგი.

ამოცანა 4.1 - ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის/აღმოფხვრის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის გაღრმავება.

<u>ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელია:</u> საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი

<u>**პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე**</u>

სრულად შესრულდა 4.1 ამოცანის ინდიკატორით გათვალისწინებული სამიზნე მაჩვენებელი. აღმასრულებელ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების მიზნით გაფორემებული (2022 წ.) მემორანდუმის ფარგელში, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემური მექანიზმების გაუმჯობესებასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელებას, ჩატარდა ღონისძიებები არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

ამოცანა 4.1.	*ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის/აღმოფხვრის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის გაღრმავება*				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.1.	*ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მექანიზმის არსებობა*		**საბაზისო**	**სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	**2021**	**2024**	
		მაჩვენებელი	არ არსებობს	მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მექანიზმი	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ოქმები;

					წინამდებარე გეგმის წლიური ანგარიშები
რისკი:	საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა				

<u>**პროგრესი - აქტივობის შესრულების დონე:**</u>

აქტივობა 4.1.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის მიმართულებით მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მექანიზმის (მემორანდუმის) ფარგლებში ღონისძიებების ჩატარება არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით.

2024 წელს, შიდა ქართლში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში - ბერშუეთი, კირბალი, ზერტი, ხურვალეთი, წითელუბანი, შავშვები, ტირძნისი, ტყვიავი, ზემო ნიქოზი, მერეთი და გუგუთიანთკარი, ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთის სოფლებში ლიასა და ორსანტიაში მცხოვრებ ქალებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები გაიმართა.

2024 წელს, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ეგიდით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, შეხვედრების მონაწილეებს, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) და დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ ღონისძიებებზე, ქვეყანაში არსებულ ძალადობისგან დაცვის სამართლებრივ მექანიზმებსა და პოლიციისადმი მიმართვის გზებზე მიაწოდეს ინფორმაცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ შეხვედრა გაიმართა სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქალ თანამშრომლებთანაც. შეხვედრა ინტერაქციულ რეჟიმში წარიმართა, რა დროსაც განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარება უსაფრთხოებაზე მომუშავე უწყებებში. ასევე, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორში გენდერულად მგრძნობიერე პოლიტიკის დანერგვა და შენარჩუნება, გენდერული თანასწორობის საკითხის გათვალისწინება პროექტის შემუშავებისას და მონიტორინგის დროს.

ამოცანა 4.2 - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობა.

<u>ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელია:</u> გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო) და სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური.

<u>**პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე**</u>

2024 წელს, ამოცანა 4.2-ის შესრულების მიმართულებით პროგრესი არ დაფიქსირებულა. სტატისტიკის წარმოების ერთიანი სტანდარტის დოკუმენტი არ არსებობს, თუმცა, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ამოცანის შესრულებაზე დაკავშირებული პასუხისმგებელი უწყებების მიერ, მანდატის ფარგლებში, უწყვეტად მიმდინარეობს სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება

ამოცანა 4.2.	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობა				
ამოცანის შედეგის	*შემუშავებულია სტატისტიკის წარმოების*		საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო
		წელი	2021	2024	

ინდიკატორი 4.2.1.	*ერთიანი სტანდარტი*	***მაჩვენებელი***	არ არსებობს ერთიანი სტანდარტი	*შემუშავებულია ერთიანი სტანდარტი*	*წინამდებარე სამოქმედო გეგმის შესრულების 2024 წლის ანგარიში*
რისკი:	*საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა*				

<u>**პროგრესი - აქტივობის შესრულების დონე**</u>

აქტივობა 4.2.1 ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავება-შეგროვების გაუმჯობესების მიზნით, კონცეფციის შემუშავება

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავება-შეგროვების გაუმჯობესების მიზნით, კონცეფციის შემუშავების მიზნით, მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული აქტივობის განხორციელება შეჩერდა.

აქტივობა 4.2.2. სამართალდამცავი ორგანოების მიერ სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება

საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველო სტატისტიკურ მონაცემებს ამუშავებს სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, ოჯახურ დანაშაულზე, ხოლო გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი სტატისტიკურ მონაცემებს აღრიცხავს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ფემიციდის საქმეებზე. სტატისტიკური მონაცემები აღირიცხება გრევიოს სტანდარტის „THE BIG FIVE“ მიხედვით - ბრალდებულის და მსხვერპლის სქესი, ასაკი, ბრალდებულის სოციალური კავშირი მსხვერპლთან, ძალადობის ფორმა, ტერიტორიული განფენილობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, მონაცემები ქვეყნდება კვარტლურად და წლიურად. შემაკავებელ ორდერებთან დაკავშირებით მონაცემები მუშავდება და განახლებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://info.police.ge/page?id=102.

სტატისტიკური მონაცემები მუშავდება შემდეგი პარამეტრების მიხედვით:
1. მსხვერპლის და მოძალადის სქესი

2. მსხვერპლის და მოძალადის ასაკი
3. ძალადობის ფორმა
4. გეოგრაფიული მდებარეობა.

აქტივობა 4.2.3. ხანდაზმულ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის, მათ შორის, სს კოდექსის 11' და 126' მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების შესახებ მონაცემების შეგროვება, დამუშავება მათ შორის, სქესის მიხედვით, 65-80 და 80 და ზევით ხანდაზმულ პირთა მიმართ ძალადობის შემთხვევების სტატისტიკური მონაცემების წარმოება.

საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს მიერ საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, სისხლის სამართლის საქმეებზე დაზარალებულად ცნობილი პირების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია მუშავდება ასაკობრივ ჭრილში და სქესის მიხედვით, მათ შორის 65-80 და 80 და ზევით ასაკის დაზარალებულების შესახებ. ხანდაზმულ დაზარალებულთა მონაცემები დამუშავებადია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერ მუხლზე.

2024 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ხანდაზმულთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის, მათ მიმართ ძალადობის ეფექტიანი გამოვლენის, რეაგირებისა და პრევენციის მიმართულებებზე. დეპარტამენტმა ხანდაზმულთა ძალადობისგან ეფექტიანი დაცვისა და მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერების მიზნით, შეისწავლა ხანდაზმულ პირთა მიმართ 2023 წელს ჩადენილი დანაშაულების 600-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმე. საქმეთა მონიტორინგის ფარგლებში, გამოვლინდა გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების ტენდენციები და გაანალიზდა კრიმინოლოგიური ასპექტები. აღნიშნული ანალიზები, ქართულ და ინგლისურ ენებზე გასაჯაროვდა საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე:

https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpf5qXBQ.pdf

https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpCamlH1.pdf

აქტივობა 4.2.4. ხანდაზმულ პირთა დასაცავად გამოცემული შემაკავებელი ორდერების შესახებ სტატისტიკური მონაცემების წარმოება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი აწარმოებს სტატისტიკას სქესის და ასაკის გრადაციის მიხედვით. შემაკავებელ ორდერებთან დაკავშირებით პირთა სტატისტიკური მონაცემები მუშავდება შემდეგი ასაკობრივი გრადაციის მიხედვით:

1. < 13

2. 14-17

3. 18-24

4. 25-44

5. 45-60

6. 61 > ;

შემაკავებელ ორდერებთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემები განთავსებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის საინფორმაციო პორტალზე https://info.police.ge/page?id=102.

აქტივობა 4.2.5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემების წარმოება.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი მონიტორინგს უწევს და ყოველწლიურად აქვეყნებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზს, რომელიც შეიცავს შშმ პირების მიმართ განხორციელებული ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის სტატისტიკურ მონაცემს.

2024 წელს პროკურატურის ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნდა სრულწლოვანი და არასრულწლოვანი შშმ პირების საქმეთა ანალიზის შედეგები, ქართულ და ინგლისურ ენებზე:

https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpubmVk8.pdf

https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpxzgrOl.pdf

https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpGw9RLk.pdf

https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpxzgrOl.pdf

https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/php9oWZU9.pdf

https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpnpX5Px.pdf

https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/php94NhRy.pdf

https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phplacUlC.pdf

აქტივობა 4.2.6. თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში მომსახურებით მოსარგებლე პირთა შესახებ სტატისტიკური მონაცემების წარმოება.

სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში შეიქმნა სტატისტიკისა და ანალიტიკის სამსახური, რაც მიზნად ისახავს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემურ გაძლიერებას. შემუშავებულია სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს ე.წ. „დიდი ხუთეულის“ მაჩვენებლების მიხედვით მონაცემების წარმოებას და უწყებებს შორის მეთოდოლოგიის ეტაპობრივ დაახლოებას“.

აქტივობა 4.2.7. იურიდიული დახმარებით მოსარგებლე ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა შესახებ სტატისტიკის წარმოება.

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური სტატისტიკისათვის ამუშავებს, შემდეგ მონაცემებს:

1. მსხვერპლისა და მოძალადის სქესი;

2. მსხვერპლისა და მოძალადის ასაკი;

3. გეორგაფიული მდებარეობა.

ამჟამად, სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა ვერ ამუშავებს შემდეგ მონაცემებს: მოძალადის ურთიერთობა მსხვერპლთან, ძალადობის ფორმა. სამსახურის მიერ მომზადდა ტექნიკური დავალება ზემოაღნიშნული მონაცემების დამუშავების შესახებ, რომელიც გადაეცა დეველოპერს. თუმცა, ამ ეტაპზე შეჩერებულია.

გამოწვევები და რეკომენდაციები

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2022-2024 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის 2024 წლის განხორციელების წლიური ანგარიშის ანალიზის შედეგად, კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, რომ გაუმჯობესდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები, ქალების დაცვისა და მხარდაჭერის მიმართულებით გაუმჯობესდა სერვისები, განხორციელდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკანონმდებლო ცვლილებები.

გასათვალისწინებელია, რომ სამოქმედო გეგმა მოიცავდა პერიოდს 2022-2024 წლებისთვის. გეგმით გათვალისწინებული აქტივობების უმრავლესობა განხორციელდა ან/და მეტწილად განხორციელდა. მნიშვნელოვანია, რომ გაგრძელდეს მუშაობა საზოგადოებაში ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრების მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ დაფიქსირდა სირთულე ორი აქტივობის განხორციელების მიმართულებით. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მუშაობა ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამ(ებ)ის მოდიფიცირების მიმართულებით და გაუმჯობესდეს სტატისტიკის წარმოების სტანდარტი, რათა საქართველომ კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დაცვის მიმართულებით, რაც განპირობებულია მულტისექტორული მიდგომითა და მიზანმიმართული, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავებული პოლიტიკის განხორციელებით.